პროფესიული საგანმანათლებლო
პროგრამების კატალოგი
2018 სასწავლო წელი

*მიიღე ცოდნა გახდი პროფესიონალი*

# საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი
# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

**საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი 2012 წლიდან დღემდე ემსახურება მომავალი თაობის აღზრდას .** საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი არის ავტორიზებული კოლეჯი. არსებული ყველა საფეხურის პროგრამა აკრედიტირებულია. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ახალი მოდულური პროგრამების დამატება . კოლეჯი აღჭურვილია თანამედროვე მოთხოვნების რესურსით რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს მიიღოს ცოდნა და გახდეს პროფესიონალი .კოლეჯი მუდმივად მუშობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით რაც ხელს უწყობს კოლეჯის განვითარებას

## მისია:

საზოგადოებრივი კოლეჯის მისიაა მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც კონკურენტუნარიანნი იქნებიან როგორც შიდა ქართლის რეგიონის, ასევე საქართველოს და საერთაშორისო შრომის ბაზარზე. ამისათვის კოლეჯი მიაწოდებს თავის პროფესიულ სტუდენტებს საქართველოს პროფესიული განათლების მიზნებისა და პროფესიული სტანდარტების შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, უზრუნველყოფს უწყვეტი განათლების სისტემას, პროფესიული სტუდენტებისთვის სათანადო სასწავლო გარემოს შექმნას და მისცემს მათ საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად რეალიზების საშუალებას.

# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

## მიზნები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, ტრენინგ-კურსების და სასერთიფიკატო პროგრამების განხორციელება.
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება - სრულყოფა.
- სტუდენტური სერვისების გაუმჯობესება - განვითარება.
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება.
- დაწესებულების პოპულარიზაციის უზრუნველყოფა.

## ამოცანები:

- თითოეული პროფესიული სტუდენტის განათლების, მომზადებისა და განვითარების პირობების მისი განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით უზრუნველყოფა.
- თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის პირობების შექმნისათვის ზრუნვა.
- თანამედროვე ცოდნისა და მეთოდების გავრცელების ხელშეწყობა.
- პარტნიორ და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა.
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

# პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურა

**მუხლი 28.პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად წარსადგენი დოკუმენტაცია**

1.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში უნდა წარმოადგინოს:

ა) კოლეჯის მიერ დადგენილი ფორმის განცხადება პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მოთხოვნის თაობაზე;
ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
გ) საბაზო/სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტის ასლი;
დ) უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში განათლების აღიარების დოკუმენტი;
ე) ორი ფოტოსურათი 3x4;
ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა დოკუმენტი

# კოლეჯის მიერ მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდეგ განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამები

აღწერილობა:„აღმზრდელი“

| | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | პროგრამის მიზანი | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია | კრედიტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | **„აღმზრდელი“. (ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის)** | **V** | პროგრამის მიზანია, მოამზადოს კვალიფიციური კადრი რომელიც შეძლებს ადრეულ და სკოლამდელ ასაკში ბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდას და განვითარებას. ამ მიზნებისთვის აღმზრდელმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელი სააღმზრდელო გარემო და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების | მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში. | **115** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | დაწესებულების კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. | | |
| **2.** | ,<br>,<br>**აღმზრდელი“.**<br>**(არაქართულენოვანი პროფესიული)** | **V** | პროგრამის მიზანია, მოამზადოს კვალიფიციური კადრი რომელიც შეძლებს ადრეულ და სკოლამდელ ასაკში ბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდას და განვითარებას. ამ მიზნებისთვის აღმზრდელმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელი სააღმზრდელო გარემო და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. | მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში. | **145** |

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლების ქონა.

**კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს აღმზრდელის პოზიციაზე, ასევე იმუშაოს თვითდასაქმებით, აღმზრდელად.

**აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტი შედგება:**

1. **ზოგადი სავალდებულო მოდულები 11 კრედიტები**
2. **სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულები 105 კრედიტი**

**იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია**

- **მოცულობა:** 145 კრედიტი
- **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 101 სასწავლო კვირა

**იმ პირებისთვის, რომელთაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია**

- **მოცულობა:** 115 კრედიტი
- **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 71 სასწავლო კვირა

**მისანიჭებელი კვალიფიკაციის აღწერა – სწავლის შედეგები :**

აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

1. ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით;
2. მრავალფეროვანი, მასტიმულირებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვა და მართვა;
3. ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება;
4. წარმატებული, უსაფრთხო, მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა.

აღწერილობა:**ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი**

| | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | პროგრამის მიზანი | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია | კრედიტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | **ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი**<br>06101-3<br>(ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის) | **III** | პროგრამის მიზანია პერსონალური კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტირებისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს; აქვს | ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარადაჭერის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | **63** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს. | | |
| 2. | ,<br>,<br>**ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი**<br>06101-3<br>(არაქართულენოვანი პროფესიული) | III | პროგრამის მიზანია პერსონალური კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტირებისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს. | ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 93 |

**დაშვების წინაპირობა:**საბაზო განათლება

**კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდესნებისმიერ სახელწიფო/მუნიციპალურ ორგანიზაციაში და კერძო საკუთრებაში მყოფ კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები: ტექნოლოგიების განყოფილებებში, ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტად,

წამყვან ან მთავარ სპეციალისტად, შეუძლია იყოს შესაბამის სფეროში სერვის ცენტრის ხელმძღვანელი. შეუძლია გააგრძელოს სწავლა კომპიუტრეული ქსელის ადმინისტრატორის პროგრამაზე.

**სწავლის შედეგები:**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

1. კომპიუტერული ტექნიკის გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა,
2. კომპიუტერის აწყობა, მოდერნიზაცია, დიაგნოსტიკა და გამართვა,
3. ოპერაციული სისტემის, სამომხმარებლო, დამხმარე და უსაფრთხოების პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, გამართვა და განახლება,
4. პერიფერიული მოწყობილობების მხარდაჭერა,
5. შიდა ქსელის გამართვა.

**ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება:**

საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის მიერ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა.

შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს

სავალდებულო ზოგად მოდული - - - - 16 კრედიტი

სავალდებულო პროფესიულ მოდული - - - - 47 კრედიტი

**პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა:**

**იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია**

- **მოცულობა: 93** კრედიტი
- **სავარაუდო ხანგრძლივობა: 9** სასწავლო თვე

**იმ პირებისთვის, რომელთაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია**

- **მოცულობა:** 63 კრედიტი
- **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 7 სასწავლო თვე

აღწერილობა:საფინანსო სერვისები - Financeservices

| | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | პროგრამის მიზანი | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია | კრედიტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | **საფინანსო სერვისები - Financeservices** 04117-პ, (ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის) | **III** | პროგრამის მიზანია, მოამზადოს კვალიფიციური საფინანსო სერვისების პერსონალი, რომელიც შეძლებს სხვადასხვა ტიპის საფინანსო მომსახურების გაწევასა და მომხმარებლის საფინანსო სერვისებთან დაკავშირებულ ინფორმირებას. ასევე, საფინანსო სერვისების პროგრამის დანერგვა-განხორციელების ხელშეწყობა. | მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში | **51** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |
| 2. | ,<br>,<br>**საფინანსო სერვისები - Financeservices**<br>04117-პ,<br>(არაქართულენოვანი პროფესიული) | III | პროგრამის მიზანია, მოამზადოს კვალიფიციური საფინანსო სერვისების პერსონალი, რომელიც შეძლებს სხვადასხვა ტიპის საფინანსო მომსახურების გაწევასა და მომხმარებლის საფინანსო სერვისებთან დაკავშირებულ ინფორმირებას. ასევე, საფინანსო სერვისების პროგრამის დანერგვა-განხორციელების ხელშეწყობა. | მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში | **66** |

**დაშვების წინაპირობა/წინაპირობები** - საბაზო განათლება და არანაკლებ 17 წელი

**კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები**

საფინანსო სერვისებში მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლებელია დასაქმდეს სხვადასხვა სავაჭრო ობიექტების მოლარედ, მათ შორის -ბილეთების გაყიდვების სალაროებში; ბანკებსა და არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო დაწესებილებებში მოლრისა და ოპერატორის პოზიციაზე, ასევე ნივთების დაგირავებითა და ფულადი თანხების გაცემით დაკავებული აგენტებისა და ბუკმეკერების პოზიციებზე.

**სტრუქტურა და მოდულები**

„საფინანსო სერვისების" საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაა 51კრედიტი. აქედან,

ზოგადიმოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 16,

სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულებისა - 35 კრედიტი.

იმ პირებმა, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, მესამე საფეხურის საფინანსო სერვისების კვალიფიკაციისთვის

უნდა დააგროვონ ჯამურად 66 კრედიტი.

**მოცულობა - 66 კრედიტი**

**სავარაუდო ხანგრძლივობა - 12 თვე**

იმ პირებმა, რომლებსაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, მესამე საფეხურის საფინანსო სერვისების კვალიფიკაციისთვის უნდა დააგროვონ ჯამურად 51 კრედიტი.

**მოცულობა - 51 კრედიტი**

**სავარაუდო ხანგრძლივობა - 9 თვე**

## აღწერილობა: **ექთნის თანაშემწე**

| | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | პროგრამის მიზანი | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია | კრედიტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | **ექთნის თანაშემწე 09102-პ** | **III** | ექთნის თანაშემწე არის სამედიცინო პერსონალი, რომელიც მუშაობს ექიმის/ექთნის მეთვალყურეობის ქვეშ, ფლობს მოსავლელი პირის/პაციენტის მოვლის ზოგად უნარებს და ზრუნავს როგორც პრაქტიკულად ჯანმრთელ (მელოგინე, ჩვილ და მცირეწლოვან), ისე | ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | **81** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | (ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის) | | ფიზიკური და ფსიქიკური დაავადებებისა თუ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე და ტერმინალურ პაციენტებზე, ინდივიდუალური (ასაკობრივი, სოციალური, ფსიქოლოგიური) სპეციფიკის გათვალისწინებით.<br>ექთნის თანაშემწის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მისცეს სტუდენტს ექთნის თანაშემწისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და კლინიკური უნარ–ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით შეასრულებს ექთნის თანაშემწის პროფესიულ როლსა და ფუნქციებს, საექთნო საქმის ეთიკური და სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით. | | |
| 2. | ,<br>,<br>ექთნის თანაშემწე<br>09102-პ<br>(არაქართულენოვანი პროფესიული) | III | ექთნის თანაშემწე არის სამედიცინო პერსონალი, რომელიც მუშაობს ექიმის/ექთნის მეთვალყურეობის ქვეშ, ფლობს მოსავლელი პირის/პაციენტის მოვლის ზოგად უნარებს და ზრუნავს როგორც პრაქტიკულად ჯანმრთელ (მელოგინე, ჩვილ და მცირეწლოვან), ისე ფიზიკური და ფსიქიკური დაავადებებისა თუ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე და ტერმინალურ პაციენტებზე, ინდივიდუალური (ასაკობრივი, სოციალური, | ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 111 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | ფსიქოლოგიური) სპეციფიკის გათვალისწინებით. ექთნის თანაშემწის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მისცეს სტუდენტს ექთნის თანაშემწისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და კლინიკური უნარ–ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით შეასრულებს ექთნის თანაშემწის პროფესიულ როლსა და ფუნქციებს, საექთნო საქმის ეთიკური და სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით. | | |

**დაშვების წინაპირობა:** საბაზო განათლება

**კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს შემდეგ დაწესებულებებსა და სოციალურ გარემოში:

1. სტაციონარი
2. რეაბილიტაციის ცენტრები
3. შინმოვლა
4. პანსიონატები (ბავშვთა, მიუსაფართა და მოხუცთა სახლები)
5. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები (ბაგა-ბაღი)
6. ჰოსპისი
7. თანმხლები პირი(მგზავრობა-მოგზაურობისას)

**სწავლის შედეგები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

1. მოსავლელიპირის/პაციენტის/მორიგეობისმიღება-გადაბარება
2. პაციენტის მოვლის უზრუნველყოფა
3. ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების დაცვა

4. უსაფრთხო და კომფორტული გარემოს უზრუნველყოფა პაციენტისა და საკუთარი თავისთვის
5. კომპეტენცის ფარგლებში კომუნიკაცია პაციენტთან,პაციენტის ოჯახის წევრებთან და მედპერსონალთან
6. პირად პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა

**ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება:**
შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ყველა სავალდებულო ზოგად და სავალდებულო პროფესიულ მოდულს. ასევე ითვალისწინებს არჩევითი სტატუსის მოდულების - 10 კრედიტს

**პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა:**

**იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია**

- **მოცულობა:** 111 კრედიტი
- **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 73 სასწავლო კვირა
-

**იმ პირებისთვის, რომელთაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია**

- **მოცულობა:** 81 კრედიტი
- **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 53 სასწავლო კვირა

აღწერილობა: ფარმაცია (საafთიაქო), Pharmacy

| პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | პროგრამის მიზანი | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია | კრედიტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| **ფარმაცია (საafთიაქო),** | **III** | პროგრამის მიზანია, მოამზადოს კვალიფიციური ჯანდაცვის სფეროსთვის კონკურენტუნარიან კადრი, კერძოდ, პროფესიული კადრების მომზადებას, რომლებიც შეძლებენფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების–განთავსების, აღწერის, პარაფარმაცევტული | მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში, | **123** |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| Pharmacy.<br>09110-პ<br>(ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის) | | პროდუქციის შერჩევა-მიწოდების პროცესში მონაწილეობას, ნაშთების პერიოდულ კონტროლს, მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმის დაფასოებას, რეცეპტის მიხედვით წამლის მომზადებას და ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაციას; | | |
| ,<br>,<br>ფარმაცია (საფთიაქო),<br>Pharmacy.<br>09110-პ<br>(არაქართულენოვანი პროფესიული) | III | პროგრამის მიზანია, მოამზადოს კვალიფიციური ჯანდაცვის სფეროსთვის კონკურენტუნარიან კადრი, კერძოდ, პროფესიული კადრების მომზადებას, რომლებიც შეძლებენფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების–განთავსების, აღწერის, პარაფარმაცევტული პროდუქციის შერჩევა-მიწოდების პროცესში მონაწილეობას, ნაშთების პერიოდულ კონტროლს, მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმის დაფასოებას, რეცეპტის მიხედვით წამლის მომზადებას და ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაციას; | მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში, | 111 |

**დაშვების წინაპირობა/წინაპირობები:** სრული ზოგადი განათლება;

**დასაქმებისშესაძლებლობები:**მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციით ფარმაციაში (საფთიაქო) პირს შეუძლია დასაქმდეს აფთიაქებში (ავტორიზებულ აფთიაქში, სპეციალიზებულ და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტში), საბითუმო რეალიზაციის ობიექტზე, სამედიცინო და ფარმაცევტული ტექნიკის მაღაზიებში ფარმაცევტის/ფარმაცევტის თანაშემწის პოზიციაზე.

**სტრუქტურა და მოდულები:**
ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს

1. ზოგად მოდულებს 11 კრედიტს
2. პროფესიულ/დარგობრივ მოდულებს - 109 კრედიტს
3. არჩევითი მოდულის - 3 კრედიტს

**იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია**

- **მოცულობა:** 153 კრედიტი
- **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 110 სასწავლო კვირა
-

**იმ პირებისთვის, რომელთაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია**

- **მოცულობა:** 123 კრედიტი
- **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 80 სასწავლო კვირა

# რატომ უნდა აირჩიო საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი ?

1. აქ დაგხვდება მყუდრო გარემო
2.კეთილგანწყობილი პერსონალი;
3. კოლეჯს გააჩნია მატერიალურ ტექნიკური ბაზა
4.საწარმოო პრაქტიკას გაივლით წამყვან კომპანიებში
5.სტუდენტზე მორგებული საწავლის გადახდის სისტემა
6.ლამაზი და ბედნიერი სტუდენტური დღეები .

ქ გორი გორგასლის 1 ა ტ: 595535235 E.mail. info.college.amagi@gmail.com

## პარტნიორები:

1. შპს პსპ

2.აფთიაქი ბარბარე




3.შპს გორიფარმი

4. საქართველოს კარიტასი




caritas
GEORGIA

4.შპს გორმედი



5. დედათა და ბავშვთა ცენტრი ,,იავნანა“



6.შპს სოფია მკურნალი

7.შპს იმედი და მარიამი




8.ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტი

9.ქართული კრედიტი